პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

№ 262 (11568)
სამშაბათი
10
ნოემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1959 წლის 25 ნოემბერს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1959 წლის 6 ნოემბერი.

მოსკოვი. 1959 წლის 7 ნოემბერი. წითელი მოედანი. მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის დროშით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის დღესასწაულს შეხვდნენ გახარებულნი თავიანთი წარმატებებით ცხოვრების ყველა დარგში. წითლად მორთულან ქალაქები და სოფლები, შვიდწლედის ახალშენებანი. მუსიკა, სიმღერა, საზეიმო ხმები ერთად შერწყმულა. ეს იყო ჰიმნი კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, ჰიმნი თავისუფალი შრომის, ბედნიერების, ნათელი მომავლისადმი — კომუნიზმისადმი, რომლის გარიჟრაჟი უკვე ბრწყინავს.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა, თითქოს გიგანტურმა აკუმულატორმა, შეიწოვა დღესასწაულის ფერები, მთელი მისი მოზეიმე ხმები.

...მორთული, დიდებულია წითელი მოედანი. სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის შენობაზეა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი. ფრიალებს უამრავი ალამი. კრემლის უძველეს კედელზე კი როგორც სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მარადიული მეგობრობის სიმბოლო მოჩანს სსრ კავშირის გერბი და მოკავშირე რესპუბლიკების გერბები.

მთელ მოედანზე ჩამწკრივებულან ჯარების კოლონები. გრანიტის ტრიბუნებზე შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, წარმოების ნოვატორები, წარჩინებული კოლმეურნეები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, უცხოელი სტუმრები.

მშრომელთა ასობით წარმომადგენელი შეკრებილა სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის შენობასთან, სადაც დადგმულია ასაწყობი ტრიბუნები.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ს. პოლიანსკის, რომლებიც მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ავიდნენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ტრიბუნაზეა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რაიკო დამიანოვი.

მავზოლეუმის მარჯვენა ფრთაზე არიან ცხოჩილი მხედართმთავრები — საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, მათ შორის ყოფილი წითელგვარდიელები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1917 წლის ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სამოქალაქო ომის გმირები, დიდი სამამულო ომის მხედართმთავრები.

შელოდიურად რეკავენ კრემლის კურანტები. დილის 10 საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია მანქანით გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი. მავზოლეუმის პირდაპირ მინისტრს ხვდება საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო. სიჩუმეში გარკვევით გაისმის პატაკის სიტყვები იმის შესახებ, რომ მოსკოვის გარნიზონის ჯარები ჩამწკრივებული არიან პარადისათვის. იწყება ნაწილების ჩამოვლა. მინისტრი მიესალმა მეომრებს, მიულოცა მათ დღესასწაული.

მოედნის ცენტრში ჩამწკრივებული ათასი კაცისაგან შემდგარი ორკესტრი ასრულებს გლინკას მკფიო მელოდიას „იდიდე". მინისტრი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას.

საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავს!

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში. საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვიან სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ლენინური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, აღწევენ თავიანთი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, მისი ძლიერების შემდგომ გადიდებას. ფართოვდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის შედეგად წარმატებით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები ამჟამად უფრო სწრაფია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, და მნიშვნელოვნად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს. კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენი სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა. სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრის გამრავლებასთან ერთად სულ უფრო სრულად კმაყოფილდება საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

ჩვენი სამშობლო მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზით, კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში გამარჯვებისაკენ.

უკანასკნელი დროის ისეთი უდიდესი მოვლენები, როგორიც არის მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება, რომელმაც მთვარის ზედაპირს მიაღწია, მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის" მწყობრში ჩადგომა, მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება და მთვარის შემოფრენა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მიერ, მეტად ნათლად მოწმობენ უსაზღვრო შემოქმედებითს შესაძლებლობებს, რომლებიც დაუსახა ჩვენს ხალხს სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ შესანიშნავმა მოვლენებმა კვლავ დაადასტურეს სოციალიზმის უდავო უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე, მთელ მსოფლიოს უჩვენეს, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 42 წლის მანძილზე. ამით გამოვლინდა დიადი ძალა საბჭოთა წყობილებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავის დღესასწაული მიმდინარეობს ვითარებაში, როცა კვლავ მტკიცდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერება. ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ერთობლივ ბრძოლაში გამოიქედა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობა, განმტკიცდა მათი მონოლითური ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების საფუძველზე.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება საბჭოთა კავშირში, ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და ევროპისა და აზიის სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ კაცობრიობის განვითარების მთელ მსვლელობაზე. ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო მეტად იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვიან ყველა ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს მეორე მსოფლიო ომის ნაშთების რაც შეიძლება სწრაფად ლიკვიდაციას, საბავშო ხელშეკრულების დადებას გერმანიასთან და საოკუპაციო რეჟიმის აღმოფხვრას დასავლეთ ბერლინში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და „ცივი ომის" სავსებით შეწყვეტას.

ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში — მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტი, რომელიც სახავს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარების ფართო პერსპექტივებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ამხანაგმა ხრუშჩოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით წამოაყენა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ამ წინადადებებმა ახალი ძალით დაადასტურა საბჭოთა სახელმწიფოს გულწრფელი მშვიდობისმოყვარული მისწრაფებანი და მთელი პროგრესული კაცობრიობის მხურვალე მხარდაჭერა. ჰპოვა.

საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშრომელები, ყველა პატიოსანი ადამიანი დედამიწაზე მხურვალე მადლობას უძღვნიან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს იმ ახალი უდიდესი წვლილისათვის, რომელიც მან მშვიდობის საქმეში შეიტანა.

მაგრამ სანამ ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ მიღებული არ არის, სანამ არ გაუქმებულა ამერიკის მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზები, განლაგებული სსრ კავშირის გარშემო, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ იყოლიონ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში.

საბჭოთა კავშირი განამტკიცებს თავის არმიასა და ფლოტს არა სხვა ქვეყნებზე თავდასხმისათვის, არამედ იმისათვის, რომ საიმედოდ უზრუნველყოს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ამაყობენ თავიანთი ისტორიული ხვედრით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყოველთვის მზად არიან პირნათლად შეასრულონ მათთვის დაკისრებული კეთილშობილური მისია.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ ჩვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად დგანან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ხალხის ნაცად ხელმძღვანელს კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

ვაშა!

• • •

უკანასკნელი სიტყვების პასუხად იგრიალა „ვაშამ". დიდებულად ყოერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. სალუტს აძლევენ კრემლის ბატარიები.

ჯარების საზეიმო მარშმა გამოიწვია ყველა მაყურებლის აღტაცება და სიამაყე ჩვენი არმისათვის, ჩვენი ფლოტისათვის.

პარადი დაიწყეს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის ოფიცრებმა. განუწყვეტელ ტაშის გრიალში გაიარეს სხვა სამხედრო აკადემიების ოფიცრებმაც.

ლამაზი, მწყობრი ნაბიჯით გაიარეს მეზღვაურებმა, მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საერთო-საჯარისო სასწავლებლის კურსანტებმა, მოსკოვისა და ტულის სუვოროვის სამხედრო სასწავლებელთა, ლენინგრადის ნახიმოვის სასწავლებლის მოსწავლეებმა.

აგუგუნდნენ ჯავშანტრანსპორტიორების მოტორები. წითელ მოედანზე შემოვიდა ტანკის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის მოტომსროლელი დივიზია. მიმდინარე წლის სექტემბერში დივიზიამ თავისი მეოცე წლისთავი აღნიშნა. 1941 წლის სექტემბერში მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო გვარდიული დივიზიის სახელწოდება.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საჰაერო ქვეით ჯარს. „გაზ-69ა" მანქანებში ისხდნენ მედესანტეები. ყველგანმავალთა შემდეგ გაიარეს ქვემეხიანმა თვითმავალმა დანადგარებმა. ქვეგანაყოფის სახელოვან საბრძოლო ისტორიას მოწმობს ხუთი ორდენის ლენტი წითელ დროშაზე.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა არტილერისტთა მარში. საწევრებს მოჰყავდათ მთელი საარტილერიო კომპაინები. გაიარეს რეაქტიული ტექნიკის კოლონამ, შეწყვეტლებულმა საზენიტო დანადგარებმა.

სადღესასწაულო სამხედრო პარადმა ცხადყო, რომ ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი არმიით. გამარჯვებათა დიდებით მოსილი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე.

• • •

საბრძოლო ტექნიკა, ახლახან რომ ბატონობდა მოედანზე, ვასილის დალმართს მიეფარა. მისი მოტორების გუგუნი ნოემბრის დილის ჰაერში გაიფანტა.

გრანიტის ტრიბუნებზე მყოფი სტუმრების ყურადღება მიიპყრო ისტორიული მუზეუმის მხარემ, საიდანაც გამოჩნდა სადღესასწაულოდ მორთული ათობით ავტომანქანა. ავტომანქანებზე ალისფერი ალმები, ცისარტყელას ყველა ფერით მოელვარე მსუბუქი აბრეშუმის დროშები, ღია მწვანე ფერის წიწვოვანი გირლანდია—ფერების მთელი პალიტრაა. წინ იმ ადამიანის უზარმაზარი რელიეფური პორტრეტია, ვისი უკვდავი გენიაც აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს შრომის მილიონობით ადამიანს ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად, — ოქტომბრის რევოლუციის დიდი ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტია.

ოქროსფრად ელვარებს ორი შესანიშნავი თარიღის ციფრები — „1917-1959", ხოლო მათ შორის — ჩაუქრობელი ცეცხლი — რევოლუციის ანთებული ჩირაღდანი. და თითქოს ამ ალიდან იქმნება წითელი დროშა, რომელზეც წარწერილია სიტყვები:

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს!

შემდეგ კი ალისფერი აბრეშუმის ალმებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა პორტრეტებით. ალისფერად ანათებს გიგანტური ციფრი „VII", მთელ მოედანზე გადაწლილა სიტყვა **„ვადამდე!"**

ავტომანქანებზე მაკეტებია: უზარმაზარი ჩამოსასხმელი ციცხვი, რომელშიც ლითონი დუღს, ტურბინა, მბრუნავი კბილანები. ოქროსფრად ელვარებს ხორბლის რვამეტრიანი თავთავი. თითქოს სამყაროს სივრცეებისაკენ მიქრისო კოსმოსური რაკეტის მოდელი გაზების მბოლავი შლეიფით. მის გვერდით კი ბატარა ერთმანეთთან დაკავშირებული ვერცხლისფერი ბურთები — ატომებია. ალისფერ ქსოვილზე წარწერილია: „დაე იყოს ატომი მუშა და არა ჯარისკაცი!".

ტრიბუნები ტაშს უკრავენ, როცა მოტოციკლებით გაიარეს ფერად ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილმა ქალიშვილებმა 15-ვე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მაღლა აღმართული ალმებით, ხოლო მათ შემდეგ — მოტოციკლისტებმა მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ალმებით.

ცისფერი ქსოვილებით გარშემორტყმული, თითქოს მოწმენდილ ცაზე მოცურავს დედამიწის მაკეტი. იგი მხრებით მოაქვთ სხვადასხვა ხალხის შვილებს — უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

მეწინავე კოლონის შემდეგ მოედანზე შემოდის ხალისიანი ახალგაზრდობა — ათი ათასი მოსკოველი სპორტსმენი. მათს რიგებში არიან ისინიც, ვინც არაერთგზის დაიცვა სამშობლოს სპორტული ღირსება პრაღისა და ლონდონის, რომისა და მელბურნის, სტოკჰოლმისა და ვარშავის სტადიონებზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

მოსკოვი. 1959 წლის 7 ნოემბერი. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

ფოტო ნ. რახმანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

(დასასრული)

თითქოს ზღვა ხმაურობსო, ისე გაისმის მოედანზე სპორტსმენთა მისასალმებელი სიტყვები:

ხალხს — დიდება! პარტიას — დიდება! მთავრობას — დიდება!

ყოველ წუთს სულ უფრო ლამაზი ხდება დღესასწაულის სურათი. გრიალებს მუსიკა, გაისმის სიმღერები. ათ ნაკადად შემოდიან მოედანზე დედაქალაქის ლენინის, კიროვის, მოსკვორეცკის, კრასნაია პრესნიას, საბჭოთა, სვერდლოვისა და სხვა რაიონების მშრომელთა წარმომადგენლების კოლონები. წინ მოაქვთ მოსკოვის დროშა, ქარხნებისა და ფაბრიკების ასობით დროშა. ყველგან პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების კ. მარქსის, ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებია.

მოდის ინდუსტრიული მოსკოვი — მანქანათმშენებლები და მეფოლადეები, ფეიქრები და მეფეხსაცმელეები, ავტომანქანებისა და უნიკალურ ზუსტ ხელსაწყოთა შემქმნელები, ქიმიკოსები, მშენებლები, ენერგეტიკოსები, რკინიგზელები...

„დრო ჩვენთვის მუშაობს“ — გამოიყოფა წარწერა დიდ განათებულ ციფერბლატზე, რომელიც მოაქვთ საათის 1-ლი ქარხნის მუშებს.

დედაქალაქის მშრომელები წარმატებით ამთავრებენ შვიდწლედის პირველ წელს. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ათი თვის გეგმა. პანოები და ტრანსპარანტები მოგვითხრობენ, რომ ამ ხნის მანძილზე ქალაქის საწარმოებში დადგმულია 100 ავტომატური, ნახევრადავტომატური, ნაკადურ-მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, ათვისებულია 380 ახალი ტიპის მანქანებისა და ხელსაწყოების წარმოება.

ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელთა კოლონაში მოჩანს უზარმაზარი ასოებით შედგენილი სიტყვები: ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვისწავლოთ კომუნისტურად. თითქმის ოთხი ათასი კაცი იბრძვის ამ საწარმოში საპატიო უფლებისათვის — იყოს კომუნისტური შრომის კოლექტივებში. კომუნისტური შრომის ბრიგადებად და დამკვრელებად წოდების უფლებისათვის გაჩაღებულ ფართო მოძრაობას ციფრებისა და პლაკატების ენით გამოხატავს დემონსტრაციაზე ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის, ქარხნების „კასნი პროლეტარის“, „ფრეზერის“, აგრეთვე მოსკოვის რკინიგზის ახალგაზრდობა. დემონსტრანტებს მაღლა უჭირავთ მრეწველობის ნოვატორთა პორტრეტები, რომლებმაც ვალენტინა გაგანოვას მაგალითისამებრ შვიდწლედისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში ჩააყენეს ათასობით და ათასობით ამხანაგი.

— დიდება კომუნისტური შრომის ბრიგადებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან! — წარმოთქვამენ ტრიბუნებიდან.

სტამბა „კრასნი პროლეტარის“ მუშებს მოაქვთ მაკეტი წიგნისა „ვიცხოვროთ მშვიდობითა და მეგობრობით!“, რომელსაც ისინი ბეჭდავენ. წიგნი ასახავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. კოლონების სადღეს ასწაულო გაფორმებაში ასჯერ და ათასჯერ მეორდება სიტყვა **„მშვიდობა“**.

ამ შემოდგომაზე იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მახლობელი გახდა ყოველი ადამიანისათვის. ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა ამერიკაში, წინადადებამ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს ჩაუნერგა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის იმედი.

დემონსტრანტთა რიგებში მოჩანს გამომსახველი, ფერადი პანოები, რომლებიც გამოხატავენ მუშის ფიგურას. მუშა მახვილისაგან ჰედავს გუთანს. „გამოვჭედოთ მახვილებისაგან სახნისები“ — ეს შესანიშნავი მონუმენტური ქანდაკება ხდება სიმბოლო ხალხთა მისწრაფებისა განიარაღებისადმი.

მავზოლეუმს ჩაუარეს საბჭოთა მეცნიერებმა. ტრიბუნებიდან ტაშს უკრავენ ჭკვიანი მანქანებისა და შესანიშნავი ზუსტი ხელსაწყოების შემოქმედებს, გასაოცარი საფრენი აპარატების შემქმნელებს, რომლებმაც რეალობად აქციეს კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება კოსმოსში შეღწევის შესახებ.

დამსწრეებს ღიმილს ჰგვრის, როცა გამოჩნდება კოსმოსური ხომალდის მაკეტი. მისი ღია საჭვრეტებიდან იყურება ორი წამოწითლებული ბავშვი. ისინი პატარა ხელებს იქნევენ, მიესალმებიან გარშემო მყოფთ და უჩვენებენ ხომალდზე წარწერილ ალისფერ სიტყვებს: „ჩვენ ვიქნებით კოსმოსში“.

მანიფესტანტთა სულ ახალი და ახალი კოლონები მოდიან წითელ მოედანზე. მოედანზე შემოსული ადამიანები უნებლიეთ ანელებენ ნაბიჯს — ყოველ მათგანს სურს გაგრძელდეს იმის გასაოცარი და ამაღლებელი შეგრძნობა, რომ იმყოფება კრემლის კედლებთან, იქ, სადაც ძგერს ჩვენი სამშობლოს გული. დემონსტრანტები მხურვალედ უკრავენ ტაშს მავზოლეუმის ტრიბუნაზე მყოფ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ტრიბუნიდან მოისმის გულითადი მისალმებანი მოსკოველების მიმართ.

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

ტომსკი, 6 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ქალაქის ცენტრში ლენინის მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის გახსნას.

მონუმენტური ბრინჯაოს ქანდაკება დგას კვარცხლბეკზე. მიტინგის შემდეგ მშრომელებმა გვირგვინებითა და ყვავილების თაიგულებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი.

• • •

კრივოი როგი, 6 ნოემბერი. (საკდესი). დიდი პროლეტარული დღესასწაულის-წინ მეტალურგების სოციალისტურ ქალაქში ქარხანა „კრივოროჟფოლადის“ კულტურის სასახლის მოედანზე გაიხსნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი.

უკრაინელმა მოქანდაკემ ვ. ი. ოლეინიკმა ბრინჯაოთი გამოაქანდაკა ფეგურა ბელადისა სიტყვის წარმოთქმის დროს. ძეგლის სიმაღლე ვაკრთხფეტი გრანიტის კვარცხლბეკიანად შვიდ მეტრს აღემატება.

ძეგლის გახსნისას გაიმართა მეტალურგების, მაღაროელებისა და ქალაქის მშენებლების მიტინგი.

პენზა, 6 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გახსნა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ძეგლი აღმართულია ქალაქის ცენტრში ახალ მოედანზე, რომელსაც ლენინის სახელი მიეკუთვნა. აქ გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი.

სალამი თანამემამულეებს!

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ ინტერნაციონალური ქალაქია. იქ შეხმატკბილებულად მუშაობენ ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები და მათ შორის საკმაოდ ბევრი ქართველი. ესენი არიან ქართველი მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები, მუშები... ყველა მათი პროფესიის ჩამოთვლა ძნელია.

ჩვენ მივმართეთ ლენინგრადში მომუშავე რამდენიმე ქართველს და ვთხოვეთ გაეცნოთ ჩვენთვის თაიგანთი წარმატებები და გეგმები.

1. ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ

დიდი მომავლის მხარე — ასე უწოდებენ ციმბირს. დაიწყო მის ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართო ათვისება.

პოლზუნოვის სახელობის ქვაბტურბინის ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიას მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ფიზიკურ-ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი სამსონ სიმონის-ძე ქუთათელაძე. მისი ხელმძღვანელობით აქ მუშავდებოდა უდიდესი საქვაბე დანადგარები თბოსადგურებისათვის, რომლებიც იქმნება ჩვენი ქვეყნის სივრცეებზე, კერძოდ ციმბირში, სადაც მიკვლეულია ქვანახშირის კოლოსალური მარაგი.

ახლა პროფესორ ქუთათელაძის ცხოვრებასა და მუშაობაში ძირეული გარდატეხა მოხდა. იგი დანიშნულია დირექტორად მოადგილედ თბოფიზიკის ინსტიტუტში, რომელიც იქმნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალთან ნოვოსიბირსკში. ამ ინსტიტუტის შენობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მაგრამ ს. ს. ქუთათელაძე და სხვა ლენინგრადელი მეცნიერები, რომლებიც იქ არიან დანიშნულნი, დღესასწაულების გასვლისთანავე მიდიან ციმბირში.

— პერსპექტივები, რომლებიც ჩვენს წინაშე ისახება, შეიძლება დავახასიათოთ მხოლოდ ერთი სიტყვით — უსაზღვროა, — გვითხრა პროფესორმა ქუთათელაძემ. — ცხადია, რომ ეს ყველას აღგვაფრთოვანებს. საპატიო დავალებაა ამა თუ იმ ზომით იყო ციმბირის ათვისების პიონერი. გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით ჩემი გულითადი სალამი გადასცეთ ყველა ჩემს თანამემამულეს და უსურვოთ მათ წარმატება და ბედნიერება.

2. ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲬᲔᲚᲘ

— ეს წელი მეტად ნაყოფიერი იყო ჩემთვის, — გვითხრა სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ეროვნული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელმა ანდრია ზაქარიას-ძე აბრამიშვილმა. — მუშაობა დავამთავრე 1828-1917 წლების ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაზე. იგი უკვე გადაეცა დასაბეჭდად. ახლა განვაგრძობ მუშაობას სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც მიძღვნილია თემისადმი „რუსეთ-საქართველოს ისტორიული კავშირი და კულტურული ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში“, აგრეთვე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების ლექსიკონზე.

საჯარო ბიბლიოთეკის ეროვნული ლიტერატურის განყოფილების გამგედ რომ ვმუშაობ, ვხედავ, რა სწრაფად იზრდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურა. ჩვენ კონსულტაციისათვის მოგვმართავენ სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, ვინაიდან ჩვენთან თავმოყრილია სსრ კავშირის ხალხების ენებზე შექმნილ წიგნთა უმდიდრესი ფონდები. ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკაში მომსვლელთა შორის ბევრი ქართველია. აი ახლაც თავიანთ დისერტაციებზე სამუშაოდ თბილისიდან ჩამოვიდნენ ასპირანტები ი. ჩ[illegible]ელი და ი. ნორაკიძე.

ჩვენი განყოფილება გახდა თავისებური კლუბი, სადაც ხშირად ხვდები. ან ერთმანეთს ლენინგრადში მყოფ ქართველები. ამიტომ დღეს მე არა მარტო ჩემდათავად, არამედ მათი სახელითაც მხურვალე სალამსა და საუკეთესო სურვილებს ვუძღვნი „კომუნისტის“ მკითხველებს.

3. ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ცოტა რამ ისტორიიდან. 1890 წელს დაილუპა უცხოეთის დიდი საოკეანე გემი. იგი კლდეს არ დასჯახებია, არც ქარიშხლით დალუპულა, იგი თავისთავად დაიშალა, ვინაიდან მისი კორპუსის რხევა მანქანების რხევას დაემთხვა. ეს არის ეგრეთწოდებული ვიბრაციის მოვლენა, რომელიც შეიძლება მავნეც იყოს და ადამიანის სასარგებლოდაც მუშაობდეს. ვიბრაცია წარმოიშობა კონსტრუქციებში, მანქანებში, სატრანსპორტო საშუალებებში. მას რომ მართავდე, საჭიროა მისი შესწავლა. სწორედ ამ პრობლემაზე შრომობს ლენინგრადში თვალსაჩინო მეცნიერი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი იუსტინეს-ძე ჯანელიძე.

დღესასწაულის წინადღეს პროფესორმა ჯანელიძემ ხელი მოაწერა თავისი ახალი მეცნიერული ნაშრომის „ვიბრაციული მანქანების დინამიკის არახაზოვანი ამოცანების“ კორექტურას სვეტებში.

რა ვუსურვო ჩემს თანამემამულეებს? — ამბობს ჯანელიძე. — პირველ რიგში, რა თქმა უნდა მხნეობა — მუშაობაში ყველა წარმატების საწინდარი, დიდი პირადი ბედნიერება.

4. ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

ლენინგრადის კლარა ცეტკინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა ქართველ მეთამბაქოეთა სკოლაა. მათი ჯგუფამას წინათ წავიდა აქედან თბილისსა და სოხუმში. ამჟამად ლენინგრადში კვალიფიკაციას იმაღლებენ თბილისის თამბაქოს მე-2 ფაბრიკის მუშაკები გ. დათუნაშვილი, ე. ღონღაძე და ჰ. სარუხანოვი.

— ლენინგრადში ძალიან კარგად მიგვიღეს, — გვიამბობს მექანიკოსი-მარეგულირებელი მარლენ სარუხანოვი. ქალაქი ძალიან მოგვეწონა. უკვე დავათვალიერეთ ერმიტაჟი, პეტრე-პავლეს ციხე, ვიყავით თეატრებში.

ამჟამად გულმოდგინედ ვსწავლობ მოწინავე ტექნიკას კლარა ცეტკინის სახელობის ფაბრიკაში, რათა კიდევ უფრო კარგად ვიმუშაოთ მშობლიურ თბილისში.

ყველანი დიდი სიამოვნებით ვუფასებთ სადღესასწაულო სალამს ძვირფას თბილისელებს.

Ვ. ᲘᲣᲜᲝᲨᲔᲕᲐ,
Ო. ᲙᲐᲠᲘᲨᲔᲕᲘ.

გაიხსნა ᲑᲝᲠᲘᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

ᲩᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ, 9 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ). დიდი სახალხო დღესასწაული იყო გუშინ ჩოხატაურში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავზე აქ საზეიმო ვითარებაში გახსნა ოქტომბრის გამარჯვებისათვის უშიშარი მებრძოლის, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის ბორის ძნელაძის ძეგლი.

ათასობით ადამიანი შეიკრიბა ძეგლის გახსნაზე. ჩამოვიდნენ მრავალი სტუმარი თბილისიდან, ქუთაისიდან, აჭარის, მახარაძის, სამტრედიის, ვანის, ლანჩხუთის, ტყიბულის, წყალტუბოს, აბაშის რაიონების მშრომელთა დელეგაციები.

მიტინგი გახსნა კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა რ. თევდორაძემ. მან ბ. ძნელაძე დაახასიათა როგორც პარტიის ერთგული შვილი, უდრეკი ლენინელი, რომელმაც მთელი თავისი მეზნებარე სიცოცხლე შესწირა პარტიის საქმის სამსახურს.

ძეგლს მოხსნეს თეთრი საბურველი და შეკრებილთა წინაშე წარმოსდგა ბორის ძნელაძის ოთხმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც დადგმულია გრანიტის კვარცხლბეკზე. ძეგლის ავტორებია ახალგაზრდა მოქანდაკე ჯ. მიქატაძე და არქიტექტორი ა. საბაშვილი.

სიტყვას ამბობს პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ა. გობრონიძე.

— დღეს, — ამბობს იგი, — ჩვენი რაიონის მშრომელებს დიდი დღესასწაული აქვთ. მათ აღმართეს საქართველოს კომკავშირის — ლენინური კომკავშირის უძველესი მებრძოლი რაზმის დამაარსებლის, დიდი ლენინის საქმის გამარჯვებისათვის მგზნებარე მებრძოლის ბორის დავითის-ძე ძნელაძის ძეგლი. შემთხვევითი როდია, რომ ძეგლის გახსნა დაემთხვა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ბ. ძნელაძე იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლი. იგი რაზმავდა საქართველოს ახალგაზრდობას ოქტომბრის დროშით, კომუნისტური პარტიის დროშით. ჩოხატაურის რაიონის მშრომელები წმიდად ინახავენ თავიანთი შესანიშნავი თანამემამულის ხსოვნას, რომლის ნათელი სახე მოუწოდებს მათ ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნისტურ მშენებლობაში.

სიტყვები წარმოთქვეს ძველმა ბოლშევიკებმა — პოეტმა ს. ეულმა-ქურიძემ, კ. ცინცაძემ, ე. კუჭავამ, კომკავშირის მახარაძის რაიკომის მდივანმა ვ. დონაძემ. ბორის ძნელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტმა ა. შანიძემ, მუშა პოეტმა ს. ხიდისთაველმა.

...გაისმის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. ძეგლის კვარცხლბეკს ყვავილებით ამკობენ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მიტინგი ჩოხატაურში, მიძღვნილი ბ. ძნელაძის ძეგლის გახსნისადმი.

ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲣᲜᲐᲗᲔᲑᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავი. მილიონობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ სახელოვანი წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო მსვლელობაში, მიტინგებსა და კრებებში.

ერთთანხმებისა და მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი თარიღის დღესასწაული სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. სოციალიზმის ქვეყნების მშრომელებმა ოქტომბრის 42-ე წლისთავის დღეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ოქტომბრის ძლევამოსილი დროშისადმი — მარქსიზმ-ლენინიზმის დროშისადმი.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ჩინეთის ხალხებმა საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავი. ჩინეთის ქალაქებში გაიმართა დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები, გაიხსნა ფოტოგამოფენები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაზე, გაიმართა სადღესასწაულო კონცერტები. თავიანთ კრებაზე პეკინის თბოელექტროსადგურის მუშებმა მიიღეს ტექსტი წერილისა ლენინგრადის მუშებისადმი, რომელშიც ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიან მათ 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროცენტრალის აგებაში გაწეული დახმარებისათვის.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

200 ათასამდე კაცი იღებდა მონაწილეობას სოფიაში სადღესასწაულო დემონსტრაციაში. მრავალი ფერადოვანი პლაკატი, მაკეტი, ტრანსპარანტი, რომლებიც მოქონდათ დემონსტრანტებს, ასახავდა საბჭოთა კავშირის შესანიშნავ მიღწევებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაში, ცხადყოფდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას.

სიხარულით აღსავსე დემონსტრანტთა კოლონებმა ჩაიარეს 9 სექტემბრის მოედანზე. ისინი მხურვალედ მიესალმებოდნენ გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე მყოფ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დიმიტრი განევსა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. ბულგარეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

სადღესასწაულოდ გაფორმებული გამოვიდა 7 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი. მოწინავე და სარედაქციო სტატიებში, მოგონებებში, ანგარიშებში მიტინგების შესახებ, რომლებიც პრაღასა და მთელ ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა, გაზეთები ადიდებენ დიდ ოქტომბერს, ადიდებენ დიდ საბჭოთა სახელმწიფოს — ქვეყანას, რომელმაც სოციალიზმისა და კომუნიზმის გზა გაუკვლია ხალხებს და უჩვენა როგორ უნდა იქნას შენარჩუნებული მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ

დიდი სათაურით „ოქტომბრის რევოლუციამ კაცობრიობას უჩვენა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის ნათელი გზა, კომუნიზმის მშენებლობის გზა“ აღნიშნავს ალბანეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ბ. არისტოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის შესახებ. „ოქტომბერი“ — გაზეთი „ზერი ი პოპულიტ“ აღნიშნავს, რომ დიდი ოქტომბრის იდეები აღაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით პარიზში გაიმართა დიდი საზეიმო მიტინგი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ ამ მიტინგზე წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს ყოველივე იმისათვის, რაც მან გააკეთა სოციალიზმისათვის, და კაცობრიობის გადარჩენის საქმისათვის.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა. „წელს, — თქვა მორის ტორეზმა, — ჩვენ ვდღესასწაულობთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს კიდევ უფრო ღრმა სიხარულით და ენთუზიაზმით, ვიდრე ჩვეულებრივ. არასოდეს 1917 წლიდან სსრ კავშირს არ ჰქონია ასეთი ძალიერება და ავტორიტეტი, როგორიც აქვს დღეს. არასოდეს ასე მკაფიოდ არ გამოვლინებულა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის უპირატესობა“.

თავის გამოსვლაში საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დიდი ადგილი დაუთმო საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მოყვარულ საგარეო პოლიტიკას, აღნიშნა რა, რომ მშვიდობის იდეა განუყოფელია სოციალიზმისაგან. „42 წლის მანძილზე, — თქვა მან, — საბჭოთა კავშირი რჩება ერთგული თავისი მშვიდობიანი პოლიტიკისა“.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ბრიუსელში ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო საზეიმო სხდომა, რომელზეც მოსულნება ოქტომბრის რევოლუციის შესახებ გააკეთა ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ბლუმმა. „ოქტომბრის დღესასწაული, — თქვა ბლუმმა, — არის არა მარტო საბჭოთა ადამიანების დღესასწაული, არამედ აგრეთვე მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაული, ყველა ქვეყნის მშრომელთა დღესასწაული“.

თბილისი. 1959 წლის 7 ნოემბერი. ტრიბუნაზე არიან ამხანაგები (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ა. პახლევანიანი, გ. ი. ჩოგოვაძე, ს. ლ. თუმანიანი, მ. მ. ლელაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ი. კუპავა, გ. ს. ძოწენიძე, ი. გ. რთველიაშვილი, კ. ნ. გალიცკი, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. პ. მუავანაძე, პ. ვ. კოვანოვი, ფ. დ. დუმბაძე, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

მოზეიმე თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია

სიხარულით შეეგება თბილისი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს. ჯერ კიდევ წინადღეს იგრძნობოდა ქალაქში საზეიმო განწყობილება. ისედაც ლამაზ დედაქალაქს შემოდგომის იმ თბილ დღეებში სადღესასწაულო მოკაზმულობა ამშვენებდა. ყველა ქუჩა მორთული იყო. მაგრამ ცენტრალური მაგისტრალის — რუსთაველის პროსპექტის სიმშვენიერე განსაკუთრებით იტაცებდა თვალს, თითქოს ბუნებაც ზეიმობდა ხალხთან ერთად. თბილი, წყნარი შემოდგომის დღე იდგა. თბილისელთა საზეიმო განწყობილებას ისიც ამაღლებდა, რომ რესპუბლიკა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში უმაგალითო წარმატებებით შეხვდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღეს. საქართველოში პირველად მოიკრიფა ას ორმოცი ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რითაც რესპუბლიკის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადი მილოცვა დამსახურეს; დედაქალაქში პირველად შემოვიდა ბუნებრივი გაზი; რესპუბლიკაში პირველად მოხდა ატომური რეაქტორის ფიზიკური გაშვება. რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი აღფრთოვანებას უერთებენ მთელი საბჭოთა ხალხის სიხარულს, გამოწვეულს ჩვენი პარტიისა და მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის წარმატებითი ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ვიზიტმა ხომ უდიდესი წვლილი შეიტანა მშვიდობისათვის ბრძოლაში. უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიხარული, გამოწვეული კოსმოსზე წარმატებითი იერიშით.

მშვიდობა! — აი საბჭოთა ხალხის სანუკვარი ოცნება, აი მთელი პროგრესული კაცობრობის სურვილი.

სწორედ მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა 7 ნოემბერს პარადმა და მშრომელთა დემონსტრაციამ ჩვენი მზიური რესპუბლიკის დედაქალაქში.

დადგა სანატრელი ზეიმის დღე — 7 ნოემბერი.

საზეიმოდ არის მორთული დედაქალაქის ულამაზესი მონუმენტური შენობა— მთავრობის სახლი. შენობის ფრონტონზე გაკრულ ვეებერთელა წითელ ქსოვილს აწერია „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს!“ შენობის ცენტრალურ ნაწილზეა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილები პარადში მონაწილეობის მისაღებად დილადანვე ჩამწკრივებულან რუსთაველის პროსპექტზე. ყველგან წესრიგი და დისციპლინა იგრძნობა. მოზეიმე მშრომელები მოუთმენლად ელიან ულამაზესი სანახაობის — ჯარების პარადის დაწყებას.

დადგა ეს წუთებიც. დილის ათი საათისათვის ცენტრალურ ტრიბუნაზე იდგან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ლ. თუმანიანი, ერევნის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ა. პახლევანიანი; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე. ტრიბუნებზე არიან რევოლუციის ვეტერანები, მინისტრები, კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები, დედაქალაქის საწარმოთა ნოვატორები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საათის ისარი ათს მიუახლოდა. საზეიმო დუმილში გაისმის პარადის სარდლის გენერალ-მაიორ ხუბულურის ბრძანება:

— სმენა!

ლენინის მოედნიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ მოემართება ღია მანქანა, რომელშიც დგას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი. პარადისათვის თბილისის გარნიზონის ჯარების მზადყოფნის შესახებ პატაკის მიღების შემდეგ არმიის გენერალი გალიცკი ჩაუვლის საზეიმოდ ჩამწკრივებულ ჯარის ნაწილებს, მიესალმება მათ და მიუღოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს, პასუხად გაისმის შეწყობილი მხედრული „ვაშა“, რომელიც მძლავრ ტალღად გადადის კოლონიდან კოლონაზე, ამ მხედრულ „ვაშას“ გეგუნწში და ვაერთიანებული ორკესტრის გრიალში ჯარების სარდალი გალიცკი იდის ტრიბუნაზე, მიესალმება რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით და დავალებით წარმოქვამს სიტყვას. იგი მეობრებს და საქართველოს მშრომელებს ულოცავს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღეს — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს. ამხ. გალიცკი ლაპარაკობს იმ უმაგალითო წარმატებებზე, რომლებითაც კომუნიზმის მშენებელი მთელი საბჭოთა ხალხი და რესპუბლიკის მშრომელები შეხვდნენ ამ დიად დღესასწაულს.

— ჩვენი ხალხი, ამბობს არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი, — მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურობით მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ახალი ომის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლია. მაგრამ კაპიტალის ზოგიერთი ქვეყნის გამალებული მზადება შეიარაღებისათვის, საბჭოთა ქვეყნისა და სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ომის აქტიური მომზადება გვავალებს ვიყოთ ფხიზლად, ვამაღლოთ ჯარების სამხედრო და პოლიტიკური მომზადება.

არმიის გენერალი გალიცკი თავის გამოსვლას ამთავრებს ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის დღეგრძელობის სიტყვებით.

საათის ისარი ათს ოცდაერთ წუთს აღნიშნავს, ოქტომბრის ბრძანებაა:

— ყურადღება!

ოქტომბრის ბრძანებაა:

— პარადი, სმენა! საზეიმო მარშისა-თვის ნაბიჯით იარ!

იწყება სამხედრო პარადი, რაც ნათელი დემონსტრაციაა ჩვენი შეიარაღებული ძალების მზაობისა, დაიცვან დიდი ოქტომბრის მონაპოვარი, საბჭოთა ხალხის შვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. პარადმა ნათელყო ჩვენი არმიის უძლეველობა, მისი მაღალი ტექნიკური აღჭურვილობა.

ჟაერთანებული ორკესტრის მარშის ხმაზე მტაცეცი მხედრული საზეიმო ნაბიჯებით ჩაუვლიან ტრიბუნას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ოფიცრები, კურსანტები, ქვეითები, ავიატორები, მეზღვაურები, მოტომექანიზებული ნაწილები. სამაყოს გრძნობით უყურებ ამ შესანიშნავ სანახაობას, ფოლადის მზეობრებად მოდიან კუნთმაგარი მეომრები. ბევრ მათგანს მკერდს უშვენებს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მიღებული საბრძოლო ჯილდოები.

უკანასკნელად ჩაიქროლეს მანქანებმა. მთავრდება სამხედრო პარადი — სამბოლორი განსახიერება ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერებისა.

მხოლოდ ერთი წუთით სიცარიელეა რუსთაველის პროსპექტზე. შემდეგ კი ადიდებულ მდინარესავით მოემართებიან ტრიბუნებისაკენ იმ რაიონის მშრომელთა კოლონები, რომელიც ატარებს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნელის დიდი ლენინის სახელს. ლენინისა, რომლის დროშის ქვეშ საბჭოთა ხალხი მტაცეცდ მიდის კომუნიზმისაკენ. კოლონებს წინ მიუძღვის საზეიმოდ მორთული ავტომანქანა, რომელზეც აღმართულია დიდი ლენინის მონუმენტური სკულპტურული გამოსახულება. განიერ ტილოზე წარწერილია: გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

მოდიან ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, თვალს იტაცებენ მოსწავლეთა ლამაზი კოლონები. ტრიბუნასთან მოახლოებისას მათ ასობით მტრედი აფრინეს ჰაერში მშვიდობისა და ბედნიერების სიმბოლოდ. ასობით ფერადი ბურთი მიიწევს ცის თაღისაკენ. გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები, ტაში, ოვაცია. მოწინავე კოლონებში მხნედ მოაბიჯებენ რევოლუციის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები. კოლონებს მოაქვთ საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა გამოსახატველი ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, მაკეტები.

აი მოაქვთ კოსმოსური სივრცის დამპყრობი საბჭოთა რაკეტების მშვენიერი მაკეტები. საბჭოთა მეცნიერებამ — დიდი ოქტომბრის პირმშომ მთელი მსოფლიო განაცვიფრა თავისი ისტორიული გამარჯვებებით. მან საფუძველი ჩაუყარა სამყაროს შეცნობის, მისი მეცნიერულად შესწავლის ახალ ერას.

მოდიან ელმავალმშენებლები. მათ დემონსტრაციაზე გამოუყვანიათ ელმავლის მაკეტი. ტრიბუნას მძლავრი, აღმფრთოვანებელი საყვირით, გამარჯვების ამ ნიშნით ჩაუვლის ელმავალი, რაც საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. შემდეგ მოდის თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მშრომელთა კოლონა, იმ ქარხნისა, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი რევოლუციური წარსულით. ეღეს ამ ქარხნის კოლექტივი ელმავალმშენებლებთან ერთად გამოდის შვიდწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად.

სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ახალი საწარმოების კოლექტივები. ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში განვითარდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი. უკვე წელს — შვიდწლედის პირველ წელს ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით გაიზრდება 34,5 პროცენტით, რადიოტექნიკური მრეწველობისა — 40,9 პროცენტით, ხოლო ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობისა — 3-ჯერ.

ლენინის რაიონში ძალიან ისმის რესპუბლიკის ინდუსტრიის მაჯისცემა. ამას მეტყველებენ კირიელთა, ავტოშემკეთებელთა, კვების მრეწველობის მუშაკთა კოლონები, რომლებსაც მოაქვთ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მათი დაფდადებული ბრძოლის გამმზეველი ტრანსპარანტები, დიაგრამები, მოდელები.

ნელა მოირწევა დროშების ტყე. მათ უკან სტალინის რაიონის მშრომელთა კოლონები მოდიან. მოდიან მოსწავლეები. მოაქვთ ლენინისა და სტალინის სიყრმის დროის პორტრეტები. გაშლილი წიგნის კითხვით მოდიან სწავლის წარჩინებული გოგონა და ბიჭუნა. ეს სიმბოლოა ჩვენი ნორჩი თაობის დაუშრეტელი სურვილისა ისწავლოს ისე, როგორც სწავლობდა ლენინი, იყოს ხალხის საქმისათვის ისე თავდადებული, როგორიც ლენინი იყო.

პარტიამ და მთავრობამ უდიდესი ისტორიული ღონისძიება განახორციელეს ცხოვრებასთან სკოლის ავშორის გამმტკიცების, სახალხო განათლების სისტემის ახლებურად გარდაქმნის საქმეში. მოსწავლეთა ლამაზი კოლონები სწორედ ამ ღონისძიების განხორციელებას გამოხატავდნენ. სწავლა და შრომა განუყრელია — აი ამ კოლონების იდეა.

მოდიან მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. მოაქვთ თავიანთი წარმატებათა მაჩვენებელი მოდელები. წელს თავი გამოიჩინეს ქარხანა „ელექტროძალამ“, მაუდ-ეფეროლის კომბინატმა, თამბაქოს ფაბრიკებმა, პურკომბინატმა, ალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ.

მშვიდობა და კომუნიზმი! აი რას გამოხატავენ ეს მოზეიმე კოლონები. ამ თემაზეა გაფორმებული უზარმაზარი ტილოები, პანნოები, ტრანსპარანტები.

ლამაზ მწყობრად მოდიან ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელები. ტრიბუნას ჩაუარა ასობით ათასმა მშრომელმა. აქ იყვნენ მუშები და სპეციალისტები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, წარმოების ნოვატორები, ისინი, ვინც პარტიის მიერ დასახულ დიად ამოცანათა შესრულებისათვის იღვწის.

მშრომელთა დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, მისი სიმტკიცე და მონოლითურობა, მისი მზადყოფნა — შეუნელებელი ენერგიით იბრძოლოს შვიდწლედის ექვს წელიწადში განხორციელებისათვის.

დღის ორი საათისათვის დამთავრდა მოზეიმე ხალხის ეს გრანდიოზული მსვლელობა, მაგრამ ზეიმი არ შენელებულა დედაქალაქში... პარკებს, ქუჩებს, მოედნებს მოეფინენ ბედნიერი ადამიანები, მიაშურეს კინოს, თეატრებს, სანახაობებს.

გვიან ღამემდე არ დამცხრალა დედაქალაქის საზეიმო ყრიამული.

სიმღერითა და ცეკვით მოაბიჯებდა თბილისელი ახალგაზრდობა დღესასწაულზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბედნიერების დღესასწაული

ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულა ქართველმა ხალხმა დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავი. ყველაფერში იგრძნობოდა განახლებული მიწის სუნთქვა, ახალი თავისუფალი ადამიანის სიდიადე, კომუნისტური პარტიის შთამაგონებელი ძალა, პარტიისა, რომელმაც ჩვენი სამშობლო მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებამდე მიიყვანა.

მძლავრმა დემონსტრაციებმა ცხადყვეს ის დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა, რომლითაც საქართველოს მშრომელები ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ნათლად დაგვანახვა მათი მზადყოფნა ბოლომდე იბრძოლონ შვიდობისათვის, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს თავის კორესპონდენტთა მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა დიდი ოქტომბრის დღესასწაულმა საქართველოს ქალაქებში.

გათუმი

დილის 11 საათზე დაიწყო ბათუმის მშრომელთა საშვიდწლეულო დემონსტრაცია. პირველნი მოდიან მოსწავლეები. ლაღად, ამაყად მოაბიჯებს ჩვენი ნორჩი თაობა. ერთ საათს გაგრძელდა მოსწავლეთა საზეიმო მსვლელობა.

მოედანზე შემოვიდა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. მათ მოჰყვებიან მეზღვაურთა კადრების სამკედლოს — საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტები.

მოედანზე გამოჩნდა დემონსტრანტთა მეორე კოლონა — ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მშრომელები. მათ წინ მოუძღვის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით გაანაღდა ათი თვის საწარმოო დავალება და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 3 მილიონ მანეთზე მეტი.

მოდიან ბათუმელი რკინიგზელები, რომლებმაც ათი თვის დავალება 116,7 პროცენტით შეასრულეს.

ერთიმეორის მაყოლებით ჩაიარეს ტრიბუნის წინ ბათუმის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოების — ელექტროტექნიკური, ელექტროხელსაწყოების და ელექტროკარების ქარხნების ახალგაზრდულმა კოლექტივებმა.

ოთხმოცი ავტომანქანით ჩაიარეს მოედანზე ბათუმის რაიონის სოფლის მშრომელებმა, ჩამოატარეს მანდარინით, ლიმონით, ფორთოხლით დახუნძლული ხეები, გვაგრძნობინეს აჭარის შემოდგომის ხვავი და ბარაქა.

სამ საათს გაგრძელდა მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია ლენინის მოედანზე. მასში მონაწილეობა მიიღო 35 ათასმა კაცმა.

სოხუმი

საქართველოს ზღვისპირეთის თვალწარმტაცი ქალაქი სოხუმი კიდევ უფრო ლამაზი და მომხიბლავი იყო 7 ნოემბერს. ქუჩებს, შენობათა ფასადებს ამშვენებდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ალისფერი დროშები, ლოზუნგები.

ქალაქ სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა უკვე 3 ნოემბრისათვის გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების თერმმეტი თვის დავალება. შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს ოთხ მილიონამდე მანეთი. ქალაქის 18 საწარმომ ვადამდე გაანაღდა მიმდინარე წლის დავალება. ათი თვის გეგმის ზევით გამოშვებულია 35 მილიონამდე მანეთის პროდუქცია.

მშრომელთა ხალხმრავალ დემონსტრაციაზე ამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მოუძღოდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის და სოხუმის ხორცკომბინატის მუშაკები. სოხუმელმა მეთამბაქოეებმა ათ თვეში გეგმის ზევით 30.4 მილიონი ცალი პაპიროსი გამოუშვეს, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 350 ათასი მანეთი შეიტანეს.

ჰანგები. იწყება მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. იგი გახსნეს ფიზიკულტურელთა ნაკრებმა კოლონებმა. მათ ცვლიან საშუალო სკოლების მოსწავლეები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა სამშობლოს უპატაკეს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულება. ქალაქის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება და გეგმის ზევით გამოუშვა 43 მილიონი მანეთის პროდუქცია. თხუთმეტი საწარმოს კოლექტივი უკვე შვიდწლედის მეორე წლის ანგარიშში მუშაობს.

როგორც ყოველთვის, ახლაც, საოქტომბრო ზეიმზე, მშრომელთა კოლონებს წინ მიუძღვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი. ქუთაისელმა მეავტომობილეებმა შექმნეს „კაზ-605“ და „კაზ-606“ მარკის ახალი კონსტრუქციის ავტომობილები. ისინი მალე დაიწყებენ ამ მანქანების სერიულ წარმოებას. პირველად მონაწილეობს დემონსტრაციაში ქუთაისის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი.

ტრიბუნის წინ ჩაიარეს მეფეხსაცმელეებმა, მკერავებმა, ქიმიკოსებმა, მეავეჯებმა, მეკონსერვეებმა, მშენებლებმა, რკინიგზელებმა, მინის ტარის, რძის, ღვინის, ღვინის ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და საზოგადოებრივ საწარმოთა მუშაკებმა. სადღესასწაულო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასზე მეტმა მშრომელმა.

რუსთავი

მაღალი შრომითი წარმატებებით მოვიდნენ საშვიდნოემბრო დღესასწაულზე რუსთაველი მშრომელები.

დილის 11 საათია. იწყება მშრომელთა დემონსტრაცია. აი მოედანზე შემოვიდნენ რესპუბლიკის სიამაყის, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის კოლონები. მათ მოაქვთ მაკეტები და დიაგრამები, რომლებიც ასახავენ იმ უდიდეს ძვრებს, რაც ქარხნის ცხოვრებაში მოხდება მიმდინარე შვიდწლეულში.

ტრიბუნას მხიარული სახეებით ჩაუარეს რუსთაველმა მეცემენტეებმა. მათ 23 დღით ადრე შეასრულეს ათი თვის დავალება და დიდძალი მოგება მისცეს სამშობლოს.

მოედანზე შემოდიან მშენებლები, აზოტოვანი სასუქების და მექანიკური ქარხნების მშრომელები, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა და ხის დამამუშავებელი კომბინატების კოლექტივები, მოსწავლეები, ექიმები, პედაგოგები...

ამ დემონსტრაციაზე რუსთაველმა მშრომელებმა ერთხელ კიდევ გამოხატეს თავიანთი სიყვარული სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ოქტომბრის მონაპოვრისადმი.

სახეგაღიმებულმა ბავშვებმა ყრიამულით ჩაიარეს ტრიბუნის წინ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენი კალენდარი

თავისუფლების მომღერალი



ფ. შილერის დაბადების 200 წლისთავის გამო

მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის ფრიდრიხ შილერის შემოქმედებაში დამუშავებულია არა მარტო მისი თანამედროვეობისათვის მტკივნეული პრობლემები, არამედ ისეთი საკითხებიც, რომლებიც ყოველთვის შეირჩევენ აქტუალურ ხასიათს, ვიდრე კაცობრიობის პროგრესული ნაწილი იბრძოლებს თავისუფლების, ერთიანობისა და დემოკრატიის სანუკვარი იდეალების განხორციელებისათვის.

შილერის შემოქმედება აღსავსეა უაზასუკუნესობრივი ჩაგრისა და გერმანიის დაქსაქსული ყოფის მხილებით, აგრეთვე რევოლუციურ-რესპუბლიკური იდეალებითა და მაღალი ჰუმანიურობით. გერმანიის სახელმწიფოს განვითარების, გერმანელი ხალხის მყობადის მთავარი პრობლემა შილერმა დაayენა პიესა „ყაჩაღებში". მისი მთავარი გმირი კარლ მოორი როდი ქმაყოფილდება მხოლოდ არსებული სინამდვილის გაკიცხვით. გერმანიის უხამსი ყოფის მოძულე და ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კარლ მოორს საკუთარი დადებითი პროგრამაც აქვს: მას სურს გერმანია გადააქციოს სამაგალითო რესპუბლიკად. მამაცი ყაჩაღების გუნდთან ერთად იგი გაჭრილა ტყეში და ცილობს შური იძიოს გამხრწნელ წყობილებაზე, გერმანიაში დაამყაროს რესპუბლიკური მმართველობა. შილერის დამსახურებად ჩაითვლება ის, რომ კარლ მოორის პირით მან გერმანიის სინამდვილეში პირველად იწყო ლაპარაკი სოციალური ჩაგრის წინააღმდეგ.

თავისუფლებისა და მეუფებისათვის ხალხის ლაშქრობა ტირანიის წინააღმდეგ შილერმა კიდევ უფრო ფართოდ ასახა პიესაში „ფიესკოს შეთქმულება გენუაში". ამ ნაწარმოებით მან სცადა პრაქტიკულად განეხორციელებინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ „ყაჩაღებში" წამოაყენა.

მაგრამ თავისი დროისათვის ყველაზე გაბედული დრამატურგიული ქმნილება აღმოჩნდა „ვერაგობა და სიყვარული", რომელშიც შილერმა უბრალო ქალიშვილის და არისტოკრატიული წარმოშობის მქონე ახალგაზრდის პირადი ტრაგედიის ჩვენებით მიუთითა ბიურგერობის აშკარა ბრძოლაზე აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით პიესაში არც კი ლაპარაკი რესპუბლიკურ იდეებზე, მონარქიის ნგრევის აუცილებლობაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის გერმანიის ყოფა მასში დახატულია ისეთი პირქუში ფერებით და შემაძრწუნებელი სულთათვის, რომ პიესის მოქმედების მსვლელობიდან ორგანულად გამომდინარეობს დესპოტური წყობილების მოსპობისა და ახალი, დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა. ამ თვისებათა გამო „ვერაგობა და სიყვარული" იქცა პირველ გერმანულ პოლიტიკურ-ტენდენციურ დრამად, რისთვისაც მას მაღალ შეფასებას აძლევდა ენგელსი.

„ყაჩაღებიცა" და „ვერაგობაც" მთავრდება დადებითი გმირის დაღუპვით. მაგრამ, ასეთი ტრაგიკული ფინალის მიუხედავად, მწერალი მაინც არ კარგავს პროგრესისა და ჰუმანურობის იდეალების საბოლოო ზეიმის რწმენას. შილერის ოპტიმისტურ სულისკვეთებაზე ღაღადებენ მისი ლექსებიც.

შილერი იბრძოდა თავისუფლებისათვის, მაგრამ რადგანაც მეთვრამეტე საუკუნის გერმანიაში არ ყოფილა რამდენადმე მნიშვნელოვანი განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბუნებრივია, რომ ეს ბრძოლა თანმიმდევრული და გაბედული ვერ იქნებოდა. როცა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია იაკობინიზმამდე მივიდა, შილერი დაფრთხა სინამდვილის რადიკალური ნგრევის წინაშე. თავისუფლების იდეალებს იგი, რა თქმა უნდა, არც ამჯერად ღალატობს, მაგრამ თვით თავისუფლებას ეძიებს არა რეალურ სინამდვილეში, არამედ ოცნების, მხატვრული წარმოსახვისა და ხელოვნების სფეროში. სინამდვილის სამყაროდან ესთეტიკურ იდეამდე გაქცევის ეს ცდა ენგელსმა სასტიკად გაკრიტიკა: იგი მოიხსენია, როგორც უხამსი უბედურებისა და ბოროტების ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი.

„ვერაგობა და სიყვარული" ეს ის ერთადერთი ნაწარმოებია, სადაც ავტორი ცდილობს ერთ-ერთ ფეოდალურ ბოროტებაზე ხელის აღმართვას, ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ავტორი ეხმიანება ხალხის ტანჯვა-წამებ